

THE NATIONAL ELEMENT IN THE LITERALY IMAGE OF THE GEORGIAN HAGIOGRAPHICAL HERO

ეროვნული ელემენტი ქართული ჰაგიოგრაფიული გმირის მხატვრულ სახეში

Tsiuri Gvenetadze

PhD Student in Georgian Philology at
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, Ilia Chavchavadze Avenue #1, Georgia
+995599060921, Tsiurigvenetadze@gmail.com
<https://orcid.org/0009-0001-3213-1465>

Abstract. The research concerns the function of the national element in Georgian hagiography, particularly its role in the process of individualizing and shaping the artistic image of the saint. Typically, hagiographical texts are created according to strict rules, which, on the one hand, require the abstraction of the saint's earthly, individual characteristics and details, and on the other hand, the emphasis and presentation of their Christian virtues. Consequently, the artistic images of the saints are often devoid of individuality.

The study, which is based on hermeneutic and historical-comparative methods, demonstrates that the national element in Georgian hagiographical texts emerges as one of the main elements that creates the hero's artistic image, imparting vivid, individual traits to the saint's persona. This is especially evident in the "Life of Grigol Khandzteli", particularly in the episodes of the "Javakheti Council" and his final visit to his own vineyard before his death. In these two segments, the saint is presented as a political figure and an ordinary Georgian man, and not merely as an archimandrite, which provides his artistic image with an untypical, yet profoundly national substance for a hagiographical hero.

In the "Lives" of the Mount Athos Fathers, the translation activity becomes the ideological and thematic core of the compositions. The miraculous healing of Euthymius, including his beginning to speak fluently in Georgian by the Mother of God, confirms that service to the nation (scholarship) is recognized as the divine will. Thus, the national activity is equated with the Christian ascetic endeavor.

Ultimately, the existence of the national element in Georgian hagiography strengthens the artistic images of the Georgian ascetics, grants them expressiveness, and becomes one of the elements that expresses the saint's individualization.

Key words: Georgian Hagiography; National Element; National Aspect; Literary Image.

ციური გვენეტაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ფილოლოგიის დოქტორანტი,
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #1, საქართველო
+995599060921, Tsiurigenetadze@gmail.com
<https://orcid.org/0009-0001-3213-1465>

აბსტრაქტი. კვლევა ეხება ეროვნული ელემენტის ფუნქციის წარმოჩენას ქართულ ჰაგიოგრაფიაში, კერძოდ, მის როლს წმინდანის მხატვრული სახის ინდივიდუალიზაციისა და ჩამოყალიბების პროცესში. ჩვეულებრივ, ჰაგიოგრაფიული ტექსტები მკაცრი წესების მიხედვით იქმნებოდა, რაც, ერთი მხრივ, მოითხოვდა წმინდანის მიწიერი, ინდივიდუალური თვისებებისა და დეტალების აბსტრაქტიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ქრისტიანული სათნოებების ხაზგასმასა და წარმოჩენას. ამის გამო წმინდანთა მხატვრული სახეები ხშირ შემთხვევაში ინდივიდუალობისაგანაა დაცლილი.

კვლევა, რომელიც ეფუძნება ჰერმენევტიკულსა და ისტორიულ-შედარებით მეთოდებს, წარმოაჩენს, რომ ეროვნული მომენტი ქართულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში გმირის მხატვრული სახის შემქმნელ ერთ-ერთ მთავარ ელემენტად გვევლინება და იგი წმინდანის სახეს ცოცხალ, ინდივიდუალურ შტრიხებს სძენს. ეს განსაკუთრებით ვლინდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, კერძოდ: „ჯავახეთის კრებისა“ და სიკვდილის წინ უკანასკნელელად საკუთარ ვენახში ჩასვლის ეპიზოდებში. ამ ორ მონაკვეთში წმინდანი წარმოჩნდება როგორც პოლიტიკურ ფიგურა და უბრალო ქართველი კაცი და არა მარტოოდენ არქიმანდრიტი, რაც მის მხატვრულ სახეს ჰაგიოგრაფიული გმირის არატიპურ, მაგრამ ღრმად ეროვნულ შინაარსს აძლევს.

ათონელ მამათა „ცხოვრებებში“ მთარგმნელობითი საქმიანობა იქცევა თხზულებების იდეურ-თემატურ ღერძად. ღვთისმშობლის მიერ ქართულად ამეტყველება და ექვთიმეს სასწაულებრივი განკურნება ადასტურებს, რომ ერის სამსახური (მწიგნობრობა) ღვთიურ ნებად არის აღიარებული და ამგავარდ, ეროვნული საქმიანობა ქრისტიანულ მოღვაწეობას უთანაბრდება.

საბოლოოდ, ქართულ ჰაგიოგრაფიაში გამოვლენილი ეროვნული მომენტი აძლიერებს ქართველ მოღვაწეთა მხატვრულ სახეებს, სძენს მათ ექსპრესიულობას და წმინდანის ინდივიდუალიზაციის გამომხატველ ერთ-ერთ მთავარ ელემენტად გვევლინება.

საკვანძო სიტყვები: ქართული ჰაგიოგრაფია, ეროვნული ელემენტი, ეროვნული მომენტი, მხატვრული სახე.

შესავალი. ქართულ ჰაგიოგრაფიაში მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ ტენდენციებსა და მის მნიშვნელობაზე არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება სხვადასხვა მეცნიერის მიერ (კ. კეკელიძე, გრ. ფარულავა, რ. სირაძე, ე. ხინთიბიძე და სხვ.), მაგრამ ამჟამად მინდა წარმოვაჩინო, თუ როგორ გვევლინება ეროვნული მომენტი ქართულ ჰაგიოგრაფიაში წმინდანის მხატვრული სახის შემქმნელ ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად.

ცნობილია, რომ ჰაგიოგრაფია მკაცრად განსაზღვრული წესების მიხედვით იქმნება. არსებობს ჰაგიოგრაფიული შაბლონი, რომელსაც ავტორი უნდა მიჰყვეს, შესაბამისად, სასულიერო მწერლობაში სპეციფიკურია პერსონაჟის მხატვრული სახის ასახვის სტილიც.

ავტორი წმინდანის მხატვრული სახის შექმნისას წინა პლანზე აყენებს მოღვაწის სულიერ, ქრისტიანულ თვისებებსა და მისწრაფებებს, რომლებმაც, საბოლოოდ, უნდა გამოიწვიოს მისი განდმრთობა, ხოლო სხვა - იქნება ეს, გმირის კონკრეტული თვისებები, მისი პიროვნული ცხოვრების დეტალები და ა.შ., საგანგებოდ აღწერილი არ არის (სირამე, 1987). ჰაგიოგრაფიული გმირი, ერთი მხრივ, მოკლებულია, მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალიზმს, მისი ცხოვრებისეული დეტალებიდან ყურადღება მახვილდება, ძირითადად, მხოლოდ მის სულიერ, ქრისტიანულ თვისებებზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის მსგავსია, ვინაიდან მათი მიზანია, რაც შეიძლება მეტად მიემსგავსონ ღმერთს: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათა სრულ არს“ (მთ. 5:48). „შუასაუკუნეების მსოფლგერმნება თვალსაჩინოდ თეოცენტრულია, იმჟამინდელი ხელოვანი მხატვრული სახის „საშენ მასალად“ იშვიათად იყენებს, კონკრეტულს, ბუნებრივს, ინდივიდუალურს, განუმეორებელს, წარმავალს, სახასიათო დეტალსა თუ საპირადო შტრიხს. ხდება სინამდვილის აბსტრაქტიზება, იდეალიზაცია, ლიტერატურული სქემა, შაბლონი წარმართავს შემოქმედებით აქტს“ (ფარულავა, 2003: 672). ამიტომაცაა, რომ გარკვეულწილად ჰაგიოგრაფიული გმირები ჰგვანან ერთმანეთს, ამით კი თითქოს იზრდილება პიროვნული, ინდივიდუალური, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თვისებები, თუმცა ზოგჯერ ინდივიდუალობის წარმოჩენა ჰაგიოგრაფიულ ტექსტში მაინც ხერხდება.

კვლევის მიზანია ქართული ჰაგიოგრაფიაში არსებული ეროვნული ელემენტის წარმოჩენა, როგორც წმინდანის ინდივიდუალიზაციისა და მისი მხატვრული სახის შემქმნელი ერთ-ერთი უმთავრესი ძალა.

მეთოდები. კვლევა ძირითადად ეფუძნება ჰერმენევტიკულსა და ისტორიულ-შედარებით მეთოდებს.

შედეგები. 1. ეროვნული მომენტი წმინდანის მხატვრული სახის შემქმნელ ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად გვევლინება და მისი ფუნქცია არაა მარტოოდენ პატრიოტული სულისკვეთების წარმოჩენა. 2. ეროვნული ხასიათის შტრიხები ზოგჯერ წმინდანის სახე-ხასიათის შექმნაში იღებს მონაწილეობას, ეს განსაკუთრებით კარგად წარმოჩნდა გრიგოლ ხანძთელის მხატვრულ სახეში, რომელიც არ ჯდება ტიპური ჰაგიოგრაფიული გმირის ჩარჩოში. 3. ათონელ მამათა „ცხოვრებებში“ ეროვნული მოტივი მთლიანად იქცევა თხზულებების იდეურ-თემატურ ღერძად. მთარგნელობითი მოღვაწეობა, რომელიც იმთავითვე ეროვნული იდეალით საზრდოობს, უტოლდება ქრისტიანულ სათნობას და ღმერთამდე მისასვლელ ერთ-ერთ გზად გვევლინება.

ქართველი წმინდა მამები და მათი ჰაგიოგრაფები ერისა და ქვეყნის სიყვარულს აერთიანებენ ქრისტიანულ მსახურებასთან. ამის საფუძველი პავლე მოციქულის სიტყვებშივეა: „უკუეთუ ვინმე თვსთა და უფროდსა სახლეულთა, არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოებაჲ უარ-უყოფიეს და არს იგი ურწმუნოდსა უძვრეს“ (I ტიმ. 5:8). ამ პრინციპის გამოყენებამ განაპირობა ქართული ჰაგიოგრაფიის უნიკალური გზით განვითარება, სადაც ეროვნული ელემენტი არა მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის გამოვლინებად, არამედ წმინდანის ინდივიდუალიზაციისა და მხატვრული სრულყოფის მთავარ წყაროდ მოგვევლინა.

მსჯელობა. ქართულ სასულიერო მწერლობაში გამორჩეულია რამდენიმე ცხოვრებათა ჟანრის პერსონაჟი, რომელთა მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში იმდენად დიდ როლს თამაშობს ეროვნული მოტივი, რომ მის გარეშე ამ პერსონაჟთა სახეები მოკლებული იქნებოდა ინდივიდუალიზმსა და მთლიანობას. ამ მხრივ, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ გრიგოლ ხანძთელის პიროვნებაზე. არ შევჩერდებით

„უდაბნოთა ქალაქთმყოფელის“ იმ უდიდეს დამსახურებაზე საქართველოს გაერთიანების საქმეში, რომელიც ერთხმადაა აღიარებული სხვადასხვა მეცნიერის მიერ (რ. სირამე, კ. კეკელიძე, ს. მეტრეველი, რ. ბარამიძე, ლ. მენაბდე და სხვ.), ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ უშუალოდ გრიგოლ ხანძთელის მხატვრულ სახესა და მასში გამოვლენილი ეროვნული ტენდენციების მხატვრულ ფუნქციაზე.

ჰაგიოგრაფიული ძეგლის სხვადასხვა ეპიზოდში კარგად წარმოჩნდება გრიგოლ ხანძთელი, როგორც - სულიერი წინამძღვარი, ქართველი ერისკაცი, სახელმწიფო მოღვაწე, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა, კარგი დიპლომატი და სხვ.. „უდაბნოთა ვარსკვლავი“ არა მხოლოდ სასულიერო მოღვაწეა, არამედ ეროვნული სულისკვეთებით ანთებული ერისკაციცაა, რომელიც მნიშვნელოვნად ერევა იმდროინდელ სახელმწიფოებრივ საკითხებში, რაც, ზოგადად, უდაბნოში გასული, განდეგილი ბერის ვალდებულების საზღვრებს თითქოს სცდება. გრიგოლ ხანძთელი სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად ცდილობს, შექმნას ერთიანი და სრულად დამოუკიდებელი ქვეყანა, ავტოკეფალური ეკლესიის არსებობა კი ამის საწინდარია.

გიორგი მერჩულესაც აქვს ეს ყველაფერი გააზრებული. შენიშნულია, რომ იგი ზოგჯერ მიზანმიმართულად ცვლის ისტორიულ რეალობას მხატვრული იდეალის კვალობაზე. მისი მიზანია, გრიგოლის პოეტური ფიგურის გამოქანდაკება, ამიტომაც ხანდახან ისტორიულ რეალებსაც მას უქვემდებარებს და მცირე ცვლილებებსაც ახორციელებს (ფარულავა, 1982). გიორგი მერჩულე წარმოაჩენს ეროვნული საქმეში სასულიერო პირთა ღვაწლს და ხაზს უსვამს მათ მრავალმნიშვნელოვან საქმიანობას ქვეყნის გაერთიანების საქმეში. ამ შემთხვევაში ეკლესიის სიმბოლური სახე გრიგოლ ხანძთელია და შესაბამისად, ყურადღება მის პიროვნებაზე მახვილდება. იგი არა მხოლოდ სასულიერო პირია, რომლის მოღვაწეობა საღვთისმსახურო საქმიანობით იფარგლება, არამედ ეროვნულ სამსახურში მდგარი ადამიანია, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკურ-ტერიტორიული მდგომარეობაც და ხშირად ისეთ ნაბიჯსაც დგამს, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და გაძლიერებისთვისაა საჭირო, ამიტომაცაა იგი გარკვეულწილად პოლიტიკური მოღვაწეც. თუ ამ კუთხით შევხედავთ ნაწარმოებს, მეტად დაგვაინტერესებს ე.წ. „ჯავახეთის კრების“ ეპიზოდი.

არსენის მამა მირიანი მალულად, მხოლოდ რამდენიმე ეპისკოპოსის კურთხევითა და სამცხის დიდებულთა მხარდაჭერით, თავის შვილს - არსენს, ქართლის კათალიკოსად დაამტკიცებს, რაც, ფაქტობრივად, ეკლესიის წესების მიხედვით, უკანონოა. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ილაშქრებენ ის ეპისკოპოსები, რომელთა კანდიდატიც ეფრემია. კრებას მირიანზე განაწყენებული გუარამ მამფალი მოიწვევს. გრიგოლის სიტყვა გადამწყვეტია და მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქმედება (არსენის კათალიკოსად დადგენა საერო პირის, მით უმეტეს, მამამისის მიერ), წესით, გაუმართლებელია, გრიგოლი მაინც არსენის მხარეს იჭერს.

„ჯავახეთის კრების“ ეპიზოდის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი. ჩემი აზრით, კი ამ მონაკვეთში კარგად წარმოჩნდება გრიგოლი, როგორც არა მხოლოდ სასულიერო, არამედ პოლიტიკური ფიგურაც. იგი ამ კუთხით არაა ტიპური ჰაგიოგრაფიული გმირი. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება გრიგოლმა პოლიტიკური მიზეზით მიიღო. არ არის გამორიცხული, რომ ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, კარგი იქნებოდა, სწორედ დიდი ფეოდალის შვილი გამხდარიყო კათალიკოსი, ამით გრიგოლი მირიანის კეთილგანწყობასა და მხარდაჭერას მიიღებდა, ხოლო არსენით მასზე გავლენასაც მოიპოვებდა. ამიტომაც ის მიზანმიმართულად ტოვებს მის შვილს ამ თანამდებობაზე. იგი კრების დაწყებამდე გაიხმობს ეფრემს და ჯერ დაყვავებით, შემდეგ კი კატეგორიულად მოთხოვს, დათმოს თავისი კანდიდატურა, ამით ის თავიდან იცილებს მოსალოდნელ უთანხმოებას უშუალოდ კრებაზე, რაც მის დიდ დიპლომატიურ ნიჭზე მიაჩნებოდა. მირიანის თვითნებობას კი იმით ამართლებს, რომ

არსენის კათალიკოსად დადგენა ღვთის ნება იყო და ეს ადრე თუ გვიან მაინც მოხდებოდა, (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1963: 288) ამით მოწინააღმდეგე მხარესაც განიარაღებულს ტოვებს და საკუთარ მიზანსაც აღწევს. ამ ეპიზოდში გრიგოლ ხანძთელი, შეიძლება ითქვას, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერთიანობის ინტერესებს ეკლესიურ კანონმდებლობაზე მაღლა აყენებს (მირიანს, საერო პირს, ნამდვილად არ ჰქონდა უფლება, საკუთარი შვილი კათალიკოსად დაემტკიცებინა), რითაც ჰაგიოგრაფიული გმირის არატიპური, მაგრამ ეფექტური სახე იქმნება.

ამავე ნაწარმოებშივე წარჩნდება გრიგოლ ხანძთელი, როგორც ქართველი ერისკაცი. საუბარია იმ შესანიშნავ ეპიზოდზე, როცა უკვე ღრმად მოხუცებული გრიგოლი სიკვდილის წინ თავის სულიერ ძმა ზენონთან ერთად ოპიზის გზაზე მის მიერვე გაშენებულ ვენახში მოინდომებს წასვლას, სადაც „პურად დასხდეს“ და პურობის შემდეგ გადაწყვიტეს დილამდე იქ დარჩენა. ესაა გრიგოლ ხანძთელის უკანასკნელი გამოსვლა თავისი სენაკიდან, რადგან მოახლოებულია მისი ამქვეყნიდან გასვლის დღე, რაც თვითონაც იცის. ამ ეპიზოდზე ყურადღებას ამახვილებს ე. ხინთიბიძე. სწორედ მან შენიშნა წმინდანის პიროვნებაში გამოვლენილი ქართველი ერისკაცის ხასიათის ნიუანსი (ხინთიბიძე, 2021). მართლაც, ამ ეპიზოდში გამოვლენილი ეროვნული მომენტი - თავის მიერ გაშენებულ ვენახში გასვლა სიკვდილის წინ, ვაზის სიყვარული, მეგობართან ერთად პურად დასხდომის სურვილი, საუბარი - წმინდანის მხატვრულ სახეს ახალ, საინტერესო შტრიხს სძენს, რაც ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებისთვის სპეციფიკურია. წესით, ამაზე ყურადღების გამახვილება გიორგი მერჩულეს, როგორც ჰაგიოგრაფს) საერთოდ არ სჭირდება, მაგრამ ამ პატარა მონათხრობით გრიგოლ ხანძთელი სულ სხვანაირი სახით რჩება მკითხველს. თითქოს იგი იმ ერთი ღამით აღარაა არქიმანდრიტი. სიკვდილის წინ, ცოტახნით, ერთი ღამით, ის ჩვეულებრივი ქართველი კაცი ხდება, რომელსაც ერთხელაც უნდა თვალი შეავლოს თავისი ხელით გაშენებულ ვენახს და მეგობართან ერთად გაატაროს უკანასკნელი საღამო. აქ ავტორი ტრადიციული ჰაგიოგრაფიული გმირის ხატვის ჩარჩოებიდან გადის, მაგრამ გვითვებს საუცხოო მხატვრულ სახეს, რომელიც არის ძალიან ცოცხალი, ქართული, ახლობელი და ადამიანური.

წმინდანის მხატვრულ სახეში ეროვნულ ენემენტზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევჩერდეთ მთაწმინდელების „ცხოვრებებზე“, სადაც „ეროვნული იდეალია წმინდანის მოღვაწეობის ერთი უმთავრესი პრინციპი. ეს ეროვნული იდეალი კი უმთავრესად მწიგნობრული საქმიანობის სახითაა მოაზრებული და გამოვლენილი“ (ხინთიბიძე, 2012: 220).

ათონელთა „ცხოვრებები“ ძირითადად სამ იდეალს აერთიანებს. ესენია: ღვთაებრიობისკენ სწრაფვა, სამშობლოს სამსახური და მთარგმნელობითი მოღვაწეობა. ეროვნული იდეალი, რომელიც ათონელთა ცხოვრებების ძირითად იდეუ-თემატურ ღერძად გვევლინება, ბიზანტიური ჰაგიოგრაფიისგან ქართულის არსებით განმასხვავებელ თვისებად მიაჩნევა, ყოველ შემთხვევაში, იმ დოზით, რა დოზითაც იგი აღნიშნულ ტექსტებში ვლინდება (ხინთიბიძე, 2021).

მწიგნობრული საქმიანობა, მთარგმნელობა, იქცევა წმინდანობამდე ამამაღლებელ ერთ-ერთ უმთავრეს გზად, რომელიც თავისთავად ეროვნული მოტივით საზრდოობს. ეს კარგად ჩანს იონეს სიტყვებში ექვთიმესადმი. „შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმაღლებია შენდა, აჲ ილუაწე, რაათა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1967: 61). ქართული ენა უნდა გაუტოლდეს ბერძნულს, ამიტომ საჭიროა იმ სიღარიბის შევსება, რომელსაც ეს ენა განიცდის. ამის ძალა შესწევს ექვთიმეს და ეს „ტალანტის გამრავლებად“ აღიქმება.

წმინდანის მხატვრულ სახეს მთაწმინდელთა „ცხოვრებებში“ განსაკუთრებულ სპეციფიკას სძენს ქრისტიანულ მსახურებასთან ერთად ეროვნული და მწიგნობრული

ინტერესისა და საქმიანობის ხაზგასმა. ჰაგიოგრაფის ცნობით: „წარიყვანა სამეუფოთ შვილი თვსი ეფთჳმე მამამან იოვანე. და პირველად ქართული სწავლაჲ ასწავა და მერმე ბერძულად გაასწავლა ყოვლითა-ვე სწავლულებითა სრულებით“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1967: 60). ჰაგიოგრაფიული თხზულების მიხედვით, ექვთიმე ძნელად ლაპარაკობდა ქართულად, ვიდრე ღვთისმშობლის მიერ მისი სასწაულებრივი განკურნებისა.

გიორგი მთაწმინდელის ცნობით, როცა ექვთიმე „ყმა-ლა იყო“ მძაფრი სენით დაავადდა. მამას იგი სიკვდილის პირას ჰგონია, ღვთისმშობლის ხატის წინაშე ილოცებს და მღვდლის მოსაყვანად წავა, რათა შვილი სიკვდილამდე აზიაროს, ხოლო დაბრუნებისას საოცარ სურნელებას იცნოსავს. გამოჯანმრთელებული შვილი კი მოუყვება: „აწლა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქუა ქართულითა ენითა: „რად არს, რად გელმის, ეფთჳმე? “ ხოლო მე ვარქუ, ვითარმედ: „მოვკუდები, დედოფალო“. და ვითარცა ესე ვთქუ, მომეახლა და მიპყრა კელსა და მრქუა: „არარად არს ვნებაჲ შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ჳსნილად უბნობდი“.... „მუნ ჟამადმდე ძნიად უბნობნ ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავ ამის პირისათჳს, ხოლო მიერიოგან დაუყენებელად, ვითარცა წყაროდ აღმოდინ უწმიდეს ყოველთა ქართველთასა“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1967: 61).

ღვთისმშობელი არა მხოლოდ ფიზიკურად გამოაჯანმრთელებს ექვთიმეს, არამედ მას ქართულად ხსნილად მეტყველების უნარსაც დაუბრუნებს: „ნუ გეშინინ და ქართულად ჳსნილად უბნობდი“. ეს მინიშნება იმაზე, რომ ექვთიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობა მხოლოდ იოანეს სურვილი კი არაა, არამედ თავად ღვთისმშობლისაც, მის მიერაა ნაკურთხი. სწორედ დედა ღვთისას მიერ განკურნება ქართველი ექვთიმესი, ღვთისმშობლის ქართული ენით ამეტყველება, და მის მიერ ექვთიმესთვის ქართულად უპრობლემოდ საუბრის უნარის დაბრუნება, ვფიქრობ, კარგად წარმოაჩენს ექვთიმეს მხატვრულ სახეში ეროვნული ელემენტის არსებობას. საკუთარი ქვეყნისა და ერის მსახურება პატარაობიდანვე დაევალა წმინდა ექვთიმეს ღვთისმშობლისგან. გ. ფარულავაც მიუთითებს, რომ ექვთიმე იქცევა იმ პიროვნებად, რომლის მოვალეობაა წარუძღვს თავი ერს უფლისკენ: „ღვთისმშობლის ნება აბრუნებს ექვთიმეს მშობლიური ენის წიაღში, იგი უნდა გაუძღვს ქვეყანას ღმერთისკენ“ (ფარულავა, 2011: 123).

ექვთიმე ითვალისწინებს რა მამის რჩევას, ღვთისმშობლისგან განკურნებული და კურთხეული, იწყებს მთარგმნელობით მოღვაწეობას. გიორგი მთაწმინდელი კი ამგვარად აფასებს მის ღვაწლს: „ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ, თუ არცა-ღა გამოჩინებად არს“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1967: 61). აშკარაა, რომ ექვთიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობა „ტანალტის გამრავლებად“ და საღვთო საქმედაა მიჩნეული, სწორედ ამ მიზეზით მაღლდება ეს საქმიანობა ღვთაებრივ სათნოებამდე და ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, შეიძლება ითქვას, მთავარ ქრისტიანულ ღვაწლადაც კი მიიჩნევა, რითაც ისინი შემკულნი არიან კიდევ ჰიმნოგრაფების მიერ (ინგოროყვა, 1954).

ეროვნული ელემენტი იოანე ათონელის მხატვრული სახის შექმნაშიც იღებს მონაწილეობას. თხზულების მიხედვით, ერთხელ წმინდა ბერი ესპანეთში წასვლას განიზრახავს: „რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არა-მცირედნი ნათესავნი და ერნი მკჳდრ არიან მუნ“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1967: 54). რ. სირაძე სწორად შენიშნავს, რომ იოანე ათონელის წინაშე დგას იდენტობის საკითხი: ვინ ვართ? ამ ნაწარმოებში „ეს კითხვა სხვადასხვა მნიშვნელობით წარმოჩნდება, იქნება ეს ეთნოფსიქოლოგია, ეთნოგენეალოგია თუ კულტუროლოგია“ (სირაძე, 1987: 176). ე. ხინთიბიძე მიუთითებს, რომ „ეროვნულ-ქართული [თემატიკა] არ არის ნაწარმოების მხოლოდ შთაგონების წყარო, იგი პრაქტიკული საქმიანობის საგანია. ... [რასაც] ეროვნულ-

ქართულის მიეზის მიზნით ივირონში მოღვაწეობიდან გასვლის სურვილიც კი წარმოაჩენს (ხინთიბიძე, 2021: 117).

ამ ეპიზოდით ავტორი წარმოგვიჩენს იოანე ათონელის განსხვავებულ სახეს, იგი დიდი ხანია, რაც საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთაა, მიუხედავად ამისა, ნაწარმოებში არ ხდება ხაზგასმა იმაზე, ენატრება თუ არა სამშობლო, საკუთარი ერი და სხვ., თუმცა ამ მონაკვეთში გამოკრთება ზუსტად მისი გრძნობები, პატრიოტიზმი, ნოსტალგია და სურვილი ქვეყნის სხვა მხარეს შესაძლო ნათესაური კავშირების აღმოჩენისა, რაც, ვინ იცის, იქნებ სამშობლოს გაძლიერებისთვის გამოეყენებინა ბერს?!

დასკვნები. ქართულ ჰაგიოგრაფიაში ეროვნული ტენდენციები მხოლოდ ქვეყნის ინტერესების წინ წამოწევასა და სამშობლოს სიყვარულის გაძლიერებას არ ემსახურება. რიგ შემთხვევაში ისინი მონაწილეობას იღებენ ჰაგიოგრაფიული გმირის მხატვრული სახის სრულყოფასა და ჩამოყალიბებაში და მათ მთავარ შტრიხადაც კი იქცევიან. ეროვნული მომენტი მონაწილეობას იღებს პერსონაჟის სახე-ხასიათის ჩამოყალიბებაშიც, განსაკუთრებული სიმძაფრით ეს გრიგოლ ხანძთელის „ვენახში ჩასვლის“ საუცხოო ეპიზოდში ჩანს, რაც აშორებს მას ასკეტური ბერის ტიპურ სახეს და ადამიანურ, ახლობელ ქართველ კაცს აახლოებს. მთაწმინდელთა „ცხოვრებებში“ ეროვნული მოტივი იდეურ-თემატური ღერძი ხდება და ეროვნული საქმიანობა - მთარგმნელობით გამოხატული, წმინდანობამდე ამალღების უმთავრეს ღვაწლად გვევლინება. ექვთიმე მთაწმინდელის სასწაულებრივი განკურნება, სადაც ღვთისმშობელი ქართული ენით მიმართავს მას და უბრუნებს ქართულად თავისუფლად საუბრის უნარს, ამ ეროვნული მისიის ღვთიურ ნაკურთხობას ადასტურებს. ამგვარად, სამშობლოს მსახურება (მწიგნობრობის გზით) უთანაბრდება ქრისტიანულ მოღვაწეობას, რაც ექვთიმეს მხატვრულ სახეს განსაკუთრებულ ეროვნულ სპეციფიკას სძენს.

საბოლოოდ, ქართველი წმინდა მამები და ჰაგიოგაფები თავიანთი ერისა და ქვეყნის ერთგულნი მსახურნი რჩებიან ქრისტიანული მოღვაწეობის პარალელურად, მეტიც, საკუთარი ერისა და ქვეყნის მსახურებას უთანასწორებენ კიდევ ქრისტიანულ ღვაწლს, ვინაიდან, როგორც პავლე მოციქული წერს: „უკუეთუ ვინმე თვსთა და უფროდსა სახლეულთა, არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოებაჲ უარ-უყოფიეს და არს იგი ურწმუნოდსა უძვრეს“ (I ტიმ. 5:8). შესაბამისად, საკუთარი ერის მსახურება წმინდა მამათა მიერ არ უნდა მივიჩნიოთ ერთგვარ „მიწიერ“ გადახრად, არამედ - ქრისტიანული მსახურების უმაღლეს ფორმად.

გამოყენებული ლიტერატურა

- ახალი აღთქმაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. (2014). წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის მეხუთე სრული გამოცემის მიხედვით. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.
- ინგოროყვა, პ. (1994). გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.
- სირაძე, რ. (1987). ქართული აგიოგრაფია. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
- ფარულავა, გ. (1982). მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- ფარულავა, გ. (2011). წმინდა გიორგი ათონელიდან წმინდა ილია მართლამდე. სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“. №6, გვ: 60-67. თბილისი.

- ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. (1963). ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. წ. I. თბილისი: საქართველოს სსრ. მეცნიერების აკადემიის გამომცემლობა.
- ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. (1967). ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. წ. II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ხინთიბიძე, ე. (2003). ათონის ქართული საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა. კრებული: *ნათელი ქრისტესი საქართველო*. გვ. 539-551. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ხინთიბიძე, ე. (2013). ათონის ლიტერატურული სკოლა და ახალი მხატვრული სტილი ქართულ აგიოგრაფიაში. *ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი - „ათონის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა“*. გვ. 207-227. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ხინთიბიძე, ე. (2021). შუასაუკუნეების ქართული აგიოგრაფიის სპეციფიკისთვის. *ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი „ქართული აგიოგრაფია“*. გვ. 104-124. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.

REFERENCES

- akhali aghtkumao uplisa chuenisa ieso krist'esi [New Testament of Our Lord Jesus Christ]*. (2014). ts'm. giorgi mtats'mindelis redaktsiis k'rit'ik'ulad dadgenili t'ekst'is mekhute sruli gamotsemis mikhedvit [According to the Fifth Complete Edition of the Critically Established Text of St. George the Athonite's Redaction]. Tbilisi: Publishing House of the Patriarchate of Georgia.
- ingoroqva, p'. (1994). *giorgi merchule. kartveli mts'erali meate sauk'unisa [Giorgi Merchule. Georgian Writer of the Tenth Century]*. An Essay on the History of Literature, Culture, and Statehood of Ancient Georgia. Tbilisi: Publishing House "Sabchota Mtserali.
- siradze, r. (1987). *kartuli agiografia [Georgian Hagiography]*. Tbilisi: Publishing House „Nakaduli“.
- parulava, g. (1982). *mkhat'vruli sakhis bunebisatvis dzvel kartul p'rozashi [On the Nature of the Artistic Image in Old Georgian Prose]*. Tbilisi: Publishing House „Ganatileba“.
- parulava, g. (2011). ts'minda giorgi atonelidan ts'minda ilia martlamde [From St. George the Athonite to St. Ilia the Righteous]. *sametsniere zhurnali „logosi“ [Scientific Journal "Logos"]*. №6, pp. 60-67. Tbilisi.
- dzveli kartuli agiografiuli lit'erat'uris dzeglebi [Monuments of Old Georgian Hagiographical Literature]*. (1963). Edited and supervised by I. Abuladze. Vol. I. Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR.
- dzveli kartuli agiografiuli lit'erat'uris dzeglebi [Monuments of Old Georgian Hagiographical Literature]*. (1967). Edited and supervised by I. Abuladze. Vol. II. Tbilisi: Publishing House „Metsniereba“.
- khintibidze, e. (2003). atonis kartuli saghvtismet'qvelo-lit'erat'uruli sk'ola [The Athonite Georgian Theological-Literary School]. In *nateli krist'esi sakartvelo [The Light of Christ is Georgia]*. pp. 539-551. Tbilisi: Publishing House of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
- khintibidze, e. (2013). atonis lit'erat'uruli sk'ola da akhali mkhat'vruli st'ili kartul agiografiashi [The Athonite Literary School and the New Artistic Style in Georgian Hagiography]. *lit'erat'uris isnt'it'ut'is gzamk'vlevi - „atonis saghvtiosmet'qvelo-lit'erat'uruli sk'ola“ [Guide of the Institute of Literature - "The Athonite Theological-Literary School"]*. pp. 207-227. Tbilisi: Publishing House of the Institute of Literature.

khintibidze, e. (2021). shuasauk'uneebis kartuli agiograpiis sp'etsipik'istvis [On the Specificity of Medieval Georgian Hagiography]. *lit'erat'uris inst'it'ut'is gzamk'vlevi* - „*kartuli hagiografia*“ [Guide of the Institute of Literature - "Georgian Hagiography"]. pp. 104-124 Tbilisi: Publishing House of the Institute of Literature.

მადლიერება. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძეს გაწეული დახმარებისთვის.